



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი  
აღარი  
№2 (438)  
(5778)  
2018

„מנורה“  
עיתון יהודי  
בגוריה

### ეაე კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა მოსკოვში ახალი პროექტი წარადგინა



29 იანვარს მოსკოვში აღინიშნა ჰოლოკოსტის საერთაშორისო დღე. ამ დღეს ჩატარებულ ღონისძიებათა შორის მთავარი გახლდათ ებრაელთა მუზეუმსა და ტოლერანტობის ცენტრში ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის მიერ მოწყობილი პრეზენტაცია. მიხ. მირილაშვილმა სტუმრებს: რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნეთანიაჰუს, რუსეთის მთავარ რაზინს ბერლ ლაზარს, „იად ვაშემის“ მუზეუმის დირექტორს ავნერ შალევსა და სხვებს წარუდგინა მეორე მსოფლიო ომის წლებში ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი, რომელიც პეტერბურგში აღიმართება. ამ ძეგლის დადგმა ევრ-აზიის ებრაელთა ინიციატივაა, მის ხარჯებს თავისთავზე ღებულობს ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი

ამასთან დაკავშირებით ეაე კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი აცხადებს:  
— ამ ახალ, 2018 წელს ჩვენ აღვნიშნავთ ოპერაცია „ისკრას“ დამთავრების 75 წლისთავს. ამ ოპერაციის მსვლელობისას გარღვეული იქნა ლენინგრადის ბლოკადა. ჩვენი, როგორც იმ გმირების შვილებმა, შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა, რომლებმაც ვაჟკაცურად დაიცვეს თავიანთი ქალაქი და მტერს მშობლიურ მიწაზე ფეხი არ დაადგმევინეს, მოვალეობაა შევინახოთ და შთამომავლებს გადავცეთ მათი გმირობის ამბავი. მიმდინარე წელსვე ბლოკადის მსხვერპლთა ძეგლი წმინდა მიწაზე ისრაელში, ქალაქ იერუსალიმში დაიდგება. ეს არ არის მხოლოდ ძეგლი- ნიშანი ჩვენი ერების საერთო ბედისა, რომელიც იმ საშინელ წლებს გვახსენებს, როცა ჩვენმა ბაბუებმა ერთად დაამარცხეს სასტიკი მტერი, ეს ძეგლი არის ნიშანი იმედისა.

რუსეთის მთავარმა რაზინმა ბერლ ლაზარმა ასე მიმართა შეკრებილთ:  
-გუშინსწინ მსოფლიოს თანამეგობრობამ განსაკუთრებული თარიღი — ჰოლოკოსტის ხსოვნის დღე აღნიშნა. ჩვენ ვიხსენებთ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელ გენოციდს — ვიგონებთ ექვს მილიონ მამაკაცს, ქალს, ბავშვს, რომლებიც იმის გამო დახვრიტეს, იმის გამო მოწამლეს გაზით, იმის გამო დაწვეს კრემატორიუმებში, რომ ებრაელებად დაიბადნენ. როცა ვკითხულობთ იმ სამხედროების მემუარებს, რომლებმაც საკონცენტრაციო ბანაკები გაანთავისუფლეს, ან სასწაულებრივად გადარჩენილ ტყვეთა ნაამბობს ვისმენთ, გული გვეწურება და უნებურად გვიჩნდება სურვილი ამაზე აღარ ვისაუბროთ — ყველაფერი ეს იმდენად შემზარავია, რომ მასზე საუბარიც გვიჭირს, მაგრამ უნდა ვილაპარაკოთ, სათქმელი მაინც უნდა ვთქვათ, რომ ასეთი რამ - ასეთი ტრაგედია აღარ განმეორდეს. უნდა ვილაპარაკოთ არა მხოლოდ მსხვერპლზე, გმირებზეც, ვინც ფაშიზმი დაამარცხა. შემთხვევითი არ არის ის, რომ ხსოვნის -ჰოლოკოსტის დღედ არა პოგრომებისა და ებრაელთა მასიური ხოცვის დაწყება, არამედ წითელი არმიის მიერ „სიკვდილის ფაბრიკის“ — ოსვენციმის ბანაკის განთავისუფლება იქნა არჩეული.

ღონისძიების საზეიმო ნაწილის შემდეგ, სტუმრებმა მუზეუმის ახალი-სობიბორის აჯანყებისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია დაათვალიერეს. შარშან ჰოლონეთის ინიცირებით, რუსეთს აღარ მიეცა ახალი მუზეუმის პროექტის შექმნაში მონაწილეობის უფლება. ამ გადაწყვეტილებამ საერთო აღშფოთება გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით მიხეილ მირილაშვილმა განაცხადა:  
-ისტორიის გადაკეთება შეუძლებელია. რუსეთი უნდა იყოს სობიბორის მუზეუმის შექმნის პროექტის მონაწილე. საბჭოთა არმიამ წამყვანი როლი ითამაშა ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში, ხოლო თანამედროვე რუსეთმა ბევრი რამ გააკეთა პროგრესისა და ჰოლოკოსტის შესწავლისათვის. ჩვენი საერთო, საზიარო ისტორიის ამწუთიერი, დროებითი ინტერესები-სათვის პოლიტიზირება დაუშვებელია.

# ჰოლოკოსტის საერთაშორისო დღე

## საყოველთაო აღფრთოვანება

ჰოლოკოსტის პარლამენტმა მოინდოდა და მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც სამსლიანი პატიმრობა ემუქრება იმას, ვინც პოლონელებს მოიხსენიებს, როგორც მეორე მსოფლიო ომის წლებში პოლონეთის ტერიტორიაზე ებრაელთა გენოციდისას ფაშისტთა თანამონაწილეს.

ცნობილია, რომ ომის წლებში პოლონეთში ებრაელებს მასიურად ხოცავდნენ (მეორე მსოფლიო ომამდე პოლონეთში სამი მილიონი ებრაელი ცხოვრობდა, ომის შემდეგ კი რამდენიმე ათასილა შემორჩარედა) ახალი კანონპროექტის მიხედვით, კი ის პირი, რომელიც წარმოსთქვამს, ან დაწერს ფრაზას „სიკვდილის პოლონური ბანაკები“, ან პოლონელებს მოიხსენიებს ებრაელთა კატასტროფის თანამონაწილედ, სამი წლით ციხის ბინადარი გახდება.

ისრაელის პოლიტიკოსებმა, როგორც სამთავრობო კოალიციის, ასევე ოპოზიციის წევრებმა, ამგვარი კანონის, თანაც კატასტროფის საერთაშორისო დღის წინ, როცა მსოფლიო საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულთ , გაზით გაგუდულთ იხსენებდა, მიღების გამო დიდი აღფრთოვანება გამოთქვეს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიასუმ 27 იანვრის საღამოს განაცხადა, რომ ეს კანონი კატეგორიულად მიუღებელია.

არ შეიძლება ისტორიის მიჩქმალვა და კატასტროფის უარყოფა! პრემიერმა ისიც განაცხადა, რომ ისრაელის ელჩს ვარშავაში მისცა მითითება შეხვედეს პრემიერ-მინისტრს, გადასცეს ისრაელის სახელმწიფოს პროტესტი და სთხოვოს, არ დაამტკიცონ ეს კანონი, ან მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანონ მასში.

მიუხედავად ამგვარი გამოხმაურებისა, 1 თებერვლის დამეს პოლონეთის პარლამენტმა (სენატი) კანონპროექტი დაამტკიცა და კანონად აქცია თუმცაღა, წინა დღეს აშშ ითხოვა ნუ იჩქარებდნენ კანონის დამტკიცებას, პოლონეთის პრეზიდენტი კი ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბ. ნეთანიასუმს სატელეფონო საუბრისას დაპირდა ურთიერთგაგების მისაღწევად ამ თემაზე დიალოგს გაემართათ. კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ მუზეუმმა „იად ვაშემი“ განაცხადა, რომ განაგრძობს ისტორიული სიმართლის გამომწვეურებას.

კანონპროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირა 57 დეპუტატმა, წინააღმდეგი გახლდათ 23, ორმა დეპუტატმა თავი შეიკავა.

ისრაელის ტრანსპორტისა და დაზვერვის მინისტრმა ისრაელ კაცმა ბინიამინ ნეთანიასუმს მოსთხოვა ვარშავიდან სათათბიროდ გამოიწვიოს ელჩი. სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ერთხმად გამოხატეს პოლონეთის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს და ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუარესებაზე ალაპარაკდნენ.

## რომის პაპის რეაქცია

პოლონეთის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთან დაკავშირებით რომის პაპმა ფრანცისკმა გააკეთა განცხადება:

–ყოველი ხელისუფლების ვალია ებრძოდეს როგორც ანტიემიტიზმს, ასევე გულგრილობის ბაცილას, რომელიც გვემუქრება კაცობრიობის მესხიერებიდან ამოშალოს ჰოლოკოსტის ხსოვნა.

პონტიფიკმა ქრისტიანებსა და ებრაელებს მოუწოდა არ დაივიწყონ ჰოლოკოსტის საშინელებანი.

## ჰოლოკოსტის საერთაშორისო დღე საუდის არაბეთში

27 იანვარს, როცა საბჭოთა არმიამ გაანთავისუფლა აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკი დატყვევებული ადამიანები--უმეტეს წილად ებრაელები-- და გაეროს გადამწყვეტილებით ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ არის მიჩნეული.

ნეული, ერთ-ერთ ძლიერ არაბულ სახელმწიფოში--საუდის არაბეთში პირველად აღინიშნა.

საუდის არაბეთის ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა, ამჟამად კი საუდის მუსლიმთა საერთაშორისო ლიგის თავმჯდომარემ მუჰამედ ალ-ისამ ვაშინგტონის ჰოლოკოსტის მუზეუმში გაგზავნა წერილი, რომელშიც ჰოლოკოსტზე ლაპარაკია როგორც „მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დანაშაული, რომელმაც სულით ხორცამდე შესძრა კაცობრიობა.

წერილში გაცხადებული არიან ჰოლოკოსტის უარყოფელი.

არაბულ სამყაროში ჰოლოკოსტს ბევრი უარყოფს. მოსახლეობის მხოლოდ 8% იცის სიმართლე იმაზე, რაც მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელობის მიმართ ხდებოდა. 2014 წელს ანტიდიფამაციური ლიგის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ახლო აღმოსავლეთის არაბული მოსახლეობის 62% პროცენტს ჰოლოკოსტის თაობაზე არც არაფერი სმენია, ხოლო იმათგან, ვისაც ამ ტრაგედიაზე რაღაც გაუგია, 62% არ სჯერა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო.

## უკრაინის მთავარი რაბინის წინადადება

უკრაინის მთავარმა რაბინმა მოშე ასმანმა პირველ თებერვალს ისრაელის განათლებისა და დიასპორის მინისტრს ნაფტალი ბენეტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„პოლონეთის პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონის შუქზე, რომელიც კრძალავს ჰოლოკოსტზე სიმართლის ლაპარაკს, გთავაზობთ გააუქმოთ წელს პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკებში ისრაელელ მოსწავლეთა „სიცოცხლის მარშის“ ჩატარება.

პოლონეთის პარლამენტსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბოლო დღეებში ჩვენ ვხედავთ ანტიისრაელურ და ანტისემიტურ ისტერიას. ვარშავაში ისრაელის საელჩოს შენობა ბლოკირებულია პოლონეთის პოლიციის მიერ, ისინი რადიკალი ნაციონალისტებისაგან იცავს. არსებობს საშიშროება, რომ პოლონელი ექსტრემისტები თავს დაესხმიან ისრაელელ მოსწავლეთს.

„სიცოცხლის მარშის“ ჩატარება ისრაელს ყოველწლიურად ათობთ მილიონი დოლარი უჯდება. მიმაჩნია, რომ ანტიისრაელურ კანონს, რომელიც ცდილობს პირი აუკრას ისტორიკოსებსა და ჰოლოკოსტის გადამტანთ, ფინანსური აქციით უნდა ვუპასუხოთ.

როგორც უკრაინის მთავარი რაბინი, გთავაზობთ 2018 წელს „სიცოცხლის მარში“ ჩატარდეს უკრაინაში. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჰოლოკოსტთან დაკავშირებული ბევრი ადგილია: ბაბი იარი კიევიში, დრობიციკის იარი ხარკოვიში, იანოვსკის ბანაკი ლვოვიში და ებრაელთა ტრაგედიის სხვა ათობით ადგილი. ამას გარდა, პოლონეთისაგან განსხვავებით, უკრაინაში „სიცოცხლის მარშის“ ჩატარება 50%-ით ნაკლებ ხარჯს მოითხოვს.

იმასაც დავსძენ, რომ უკრაინაში არის ჰოლოკოსტის შემსწავლელი მთელი რიგი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ცენტრებისა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ „მარშის“ ჩატარების საქმეში.

## თბილისში აღნიშვნა

მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის დღე თბილისში სულხან საბას სახ უნივერსიტეტის დარბაზ „ლიგამუსში“ აღინიშნა. აქ თავი მოიყარეს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, სტუდენტობამ. პირველ სიტყვას ამბობს საქართველოს სახალხო დამცველი, სულხან საბას სახ. უნივერსიტეტის რექტორმა გიგა ზედანიამ დაწვრილებით ისაუბრა ჰოლოკოსტის ტრაგედიებზე, ამავე თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა ფონდ „ლეას“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა მარინე სოლომონიშვილმა, მწერალმა მთარგმნელმა ლევან ბერძენიშვილმა წაიკითხა ლექცია ჰოლოკოსტის თემაზე მხატვრულ ლიტერატურაში.

## ბინიამინ ნეთანიასუმს ვიზიტი მოსკოვში

29 იანვარს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმის პუტინთან მოსალაპარაკებლად მოსკოვში ხანმოკლე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიასუ. იერუსალიმსა და მოსკოვში ვიზიტის ოფიციალურად გამოცხადებული დღის წესრიგის მიხედვით, შეხვედრაზე განიხილეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა, სირიაში შეიარაღებულ ძალთა კოორდინაცია. ისრაელის პრემიერ მინისტრის პრესსამსახურმა დასძინა, რომ შეხვედრაზე ამ საკითხებთან ერთად წამოჭრილი იქნა ისრაელის უშიშროებისათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები.

ამასთან ერთად მიმომხილველები აანალიზებენ რა, თუ როდის, რომელი მნიშვნელოვანი ვიზიტის შემდეგ ჩადის ბ. ნეთანიასუ მოსკოვში და გამოსთქვამენ ვარაუდს, რომ ისრაელის პრემიერი ერთგვარი შუამავალია აშშ-სა და რუსეთს შორის, რათა მოგვარებული იქნას ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობანი.



## „პბრუნდებით საქართველოში“

მოშე/მერაბ მოშიაშვილი ქარელში დაიბადა და იზრდებოდა, სოხუმში დავაჟკაცდა, იქ — აფხაზეთის გულში, ეზიარა ცხოვრების ავ-კარგს, აქვე შეუდგა ცხოვრების აღმართს — შექმნა ოჯახი, გაიჩინა სამეგობრო წრე, მაგრამ... დადგა სასტიკი ჟამი და ისიც ისევე გაეცალა სოხუმს, როგორც მრავალი ქართველი.

მოსკოვს მიაშურა. იქ კი ფაქტიურად ხელახლა მოუხდა ცხოვრების დაწყება, დაიწყო და ეზიდებოდა კიდეც წუთისოფლის ჭაპანს. ებრაელი კაცისათვის დამახასიათებელმა მუყაითობამ, საგულდაგულო შრომამ თავისი ქმნა — ოჯახი წელში გაიმართა, მოშე/მერაბ მოშიაშვილმა შეიღებო ალზარდა, ცხოვრების გზას გაუყენა.

დრო კი უღმობელია-გარბის და გარბის--წელი წელს ემატებოდა და აჰა, 60 წელმაც მოუკაკუნა კარზე.

და ადამიანები სწორედ ამ დროს-სჭარმაგის კარიბჭესთან, მოისაკლისებენ ადგილის დედას, მოშე/მერაბს სამშობლოსაკენ გამოუწია გულმა — მეგობარ-ამხანაგებს სამშობლოში მობრუნების მაგალითი უჩვენა — თბილისის შემოგარენში ჭერი შეიძინა და წამოიწყო ადგილის დედასთან მიბრუნების კომპანია - „გბრუნდებით საქართველოში“. 10 თებერვალს ადგილის დედასთან მიბრუნების აღსანიშნავი ჩინებული საღამოც გამართა. ამასთან დაკავშირებით მოსკოვიდან - მასთან ერთად ჩამოვიდნენ მეგობარ ამხანაგები — არა მხოლოდ ქართველი ებრაელები, რუსები, ქართველები.

ამ საღამოზე მოშე/მერაბ მოშიაშვილზე ხშირად საუბრობდნენ როგორც კარგ ქართველზე და კარგ ებრაელზე. რასაკვირველია, მოშე თხემით ტერფამდე, რწმენით იუდეველია, ეი ებრაელი — ისტორიული მესხიერების ერის შვილი და სწორედ ამის გამო, ამის გამოისობით ქართული სამყაროს დიდი ერთგულებით ხასიათდება, ისევე როგორც ყოველი ქართველი ებრაელი. და მოშე/მერაბ მოშიაშვილიც ამ გზით მიდის.

და ევლოს დიდხანს!



### დედოფლის უდროოდ დაფრვლილი სიცოცხლე

#### ლიკა (ლია) გური-ზონენაშვილის გარდაცვალების გამო

ღვთისმშობლის სახლი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, ჩემი უახლოესი მეგობრის, საქართველოდან ჩვენი ხალხის ისტორიულ სამშობლოში ამოსულთა შორის ისრაელის პარლამენტის პირველი წევრის, ისრაელის ტრანსპორტის მინისტრის ყოფილი მოადგილის ეფრაიმ გურის მეუღლე — უნიჭიერესი და უღამაზესი ქალბატონი, მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლიკა(ლია) ზონენაშვილი-გური.

მძიმე და მეტად საინტერესო იყო ამ არაჩვეულებრივი ქალის ცხოვრება.

ალბათ, ლიკას პიროვნების ასეთმა მკვეთრად გამოხატულმა შტრიხებმა: მრავალმხრივმა ნიჭიერებამ და განსაკუთრებულმა სილამაზემ განსაზღვრა მისი აგრეგირებად ხანმოკლე სიცოცხლის ტრაგიზმი.

აი, რას გვიამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი სტუდენტობის მეგობარი, ამჟამად ისრაელის ბარ-ილანის უნივერსიტეტის პროფესორი ზაზა(მიხაელ) მეგრელიშვილი: "ლიკა ითვლებოდა უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის უბრწყინვალეს სტუდენტად. ბუნებრივია ასეთმა წარჩინებულმა მოსწავლემ სწავლა კიევის სახელმწიფო მათემატიკის ინსტიტუტში, ასპირანტურაში განაგრძო, რომელიც ასევე წარჩინებით დაასრულა და გახდა ყველაზე ახალგაზრდა (24 წლის) მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი საქართველოში".

#### მოგონება პირველი — ლიკა გურის გაცნობა.

მკითხველისათვის უფრო იოლი გასაგები რომ გახდეს, თუ რამ გამოიწვია ჩემი მოგონებების ასეთი სიმწირე, იმდროინდელი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ახლო ადამიანის, ასე სათაყვანებელი და საყვარელი ქალის შესახებ, როგორც იყო ლიკა გური, თავიდანვე ვიტყვი სიმართლეს: მაშინდელი ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებში მე ვიყავი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელიც წინ აღუდგა, ამ ორ პიროვნებას შორის კავშირს, რომლის რეალიზაციას აუცილებლად ეფრაიმ გურის პირველი ოჯახის დასაწყისი მოჰყვებოდა.

ჩემს გაცნობას ლიკა გურთან თითქოს სასწაულებრივი მოვლენა უძღვოდა წინ: 1993 წლის აგვისტოს ერთ მშვენიერ საღამოს ქართველ ებრაელებში თავისი სწავლა-განათლებით ერთ-ერთი დაფასებული ადამიანის ქალიშვილის ქორწილში ვიყავი. ნახევარი ქორწილისა უკვე ჩავლიდი იყო, როცა დარბაზში გამოჩნდა ისრაელის პირველი ელჩი დამოუკიდებელ საქართველოში, ბარუხ ბენ-ნერია (ბარუხ ბირენბლაუმი). ვიცოდი, რომ ამ კაცს საქართველოში წასვლის წინ ქართულ ენას ასწავლიდა ჩემი მეგობარი - ქორწილის მასპინძელი. ძალიან გამაკვირვა და გამაბრუნა იმ გარემოებათა გამო, რომ ჩემი უნივერსიტეტის სახელმძღვანელო, რომელსაც ქორწილის მასპინძელი არაერთხელ ჰყავდა აუგად მოხსენიებული. მე ის გარეთ გამოვიხმე და ჩემებურად "კარგად ავუწიე ყურები". მას, როგორც ყოველთვის, თავის დასაცავად. ერთი სიტყვაც არ დაუძრავს. ქორწილი დავტოვე და დავბრუნდი თელ-ავივში. გზაში მიმავალმა მივიღე გადამწყვეტილება - შევირგებოდი ეფრაიმ გურს.

დავურეკე ეფრაიმს, რომელიც ლიკასთან ერთად თელ-ავივის ქალაქის საბჭოს ცნობილ შენობასთანახლოს ცხოვრობდა.

სატელეფონო ზარს ეფრაიმმა უპასუხა.

— ეფრაიმ (ვეუბნები ჯერ კიდევ აღელვებული), ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, მეგობრები ცოლის გამშვებისათვის კი არა, ცოლის მკვლელობისთვისაც არ მორდებიან ერთმანეთს. ერთ საათში ვიქნები თელ-ავივში, მატარებლების სადგურთან ახლო მდებარე გაჩერებასთან. იერუსალიმის ავტობუსების გაჩერებაზე დაველოდები. მინდა ნამოვიდე შენთან და გავიცნო შენი მომავალი მეუღლე.

ღამის ათ საათზე შავი ფერის მოელვარე ვოლვოს კარი ეფრაიმმა გამიღო.

ეფრაიმის სახლამდე არცერთს ხმა არ ამოგვიღია. მათი სახლის ეზოში შესვლამდე ლამაზი ყვავილების თაიგული ვიყიდე, ამასთან, ჩემს თავში შეუნყვეტლად ტრიალებდა კითხვა: "როგორ შეგხვდება, ბატონო დავით, ქალი რომელზეც, თავდავიწყებით შეყვარებულ შენს მეგობარს, ასეთ დიდ წინააღმდეგობას უწევ, მასთან ოჯახის შექმნის სურვილზე? როგორი, მაინც როგორი იქნება თქვენი შეხვედრა?...". ისე რომ ამ კითხვაზე პასუხი არ გამიცია, სახლის კარი ღიმილით გააღო განსაცვიფრიბილი სილამაზის დედოფალმა. ასეთი სილამაზის ქალი, ქართველ ებრაელებში, არასოდეს მინახავს. უნებურად გამიელვა ჩვენი ხალხის დიდი ნიგნის — თორის ბრძნულმა შეგონებამ: "არ განსაჯო შენი მეგობარი, სანამ არ დადგები მის ადგილზე". იმ წუთში რა ვიცოდი, რომ უფრო დიდი გაცნობა წინ მელიდა. ლიკამ თავაზიანად გამომინოდა თავისი ნაზი ხელი და ყვავილების თაიგული ჩამომართვა: „ზუსტად ჩემი საყვარელი ყვავილები შეგიჩვენიათ, დიდი მადლობა!" და სალონში განყოფილ მრგვალ მაგიდასთან მიგვიწვია, სადაც ჩაი, ტკ-

ბილეთლობა და ხილი ელაგა. უხერხული დუმილი ისევ ლიკამ დაარღვია:

— მინდა დავლოცო ჩვენს სახლში თქვენი მობრძანება, ბატონო დავით! - დაიწყო მან თავისი წარწერი ხმით — უნდა გამოგიტყდე, მე ძალიან ბევრი მიფიქრია თქვენს ასეთ პრინციპულსა და მტკიცე წინააღმდეგობაზე, ჩემი და ეფრაიმის კავშირის მიმართ და ყოველთვის ერთსა და იმავე დასკვნამდე მივდივარ: ეფრაიმს ამდენ ქართველ ებრაელ ნაცნობ-მეგობართა შორის, თქვენს გარდა, არცერთი ნამდვილი მეგობარი არ ჰყოლია! თქვენ ხომ მხოლოდ იმას ცდილობდით, ეფრაიმს თავისი, პირველი ოჯახი არ დაეზღვრა, თქვენ ხომ მხოლოდ სიკეთე გსურდათ ჩემი ეფრაიმისათვის! მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ, ამ ერთადერთობისათვის, ბატონო დავით! თქვენ ხომ ამ ერთადერთობას ასევე შესწირეთ თქვენთვის ასე გარანტირებული შანსი, დაამჯდარიყავით ჩვენს ქორწილზე, უკვე ჩემი კანონიერი მეუღლის გვერდით და თქვენებურად თამადის რანგში ყოფილიყავით ჩვენი ქორწინების ზემის მოწინააღმდეგე!

გაცოცხლებული შეგხვებოდი აგრეგირებად ბრძნულად მოსაუბრე ქალბატონს. ასე გონივრულად მოსაუბრე ქალი ცხოვრებაში არ შემხვედრია. დარჩენილ დროში მან მოკლედ ისაუბრა თუ რა როლს თამაშობს მის სიცოცხლეში კლასიკური მუსიკისადმი მისი თავდავინყებად სიყვარული, მისი გატაცების შესახებ მხატვრობით, თეატრით, მხატვრული ლიტერატურით და ისაუბრა თავისი ცხოვრების ფილოსოფიის შესახებ. ჩემს წინ იჯდა უგანათლებლესი ქალი, ქალი - მოსიარულე ენციკლოპედია. ღამის პირველ საათზე დავეტოვე ეფრაიმ და ლიკა გურის დროებითი თავმჯდომარე, თელ-ავივის ქალაქის საბჭოსთან ახლო მდებარე ბლოხის ქუჩაზე.

მცირედ დავმორდი რა მათ სახლს, დავრეკე იმ პერიოდში ეფრაიმის ყველაზე დიდი პოლიტიკური მონინააღმდეგის სახლში ( ამ პიროვნებას შეგნებულად არ ვასახლებ, იმას კი ვიტყვი, რომ უკვე 1981 წლის არჩევნებში ამ პიროვნებამ სცადა ქართველი ებრაელებთან გასულიყო ისრაელის პარლამენტის წევრად. მისმა მცდელობამ მარცხი განიცადა) ტელეფონის ყურმილი სწორედ მან აიღო. აი, რა ვუთხარი მას:

— ეს-ესაა გამოვედი ეფრაიმ გურის სახლიდან. იქ მე გავიცანი ეფრაიმის შეყვარებული ქალი. ამ ქალის გაცნობით, გაცოცხლებული და აღფრთოვანებული დავრჩი შემიძლია დაბეჯითებით ვითხრა, რომ ასეთი სილამაზის, ასეთი გონიერების ქალბატონი უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის ქართველი ებრაელობის ქუჩაზე არ შემხვედრია. ახლა მის განათლებას თუ იკითხავ, ამ ქალ - საოცრებას, ისეთი ინტელექტუალური მონაცემები გააჩნია, რომ თუ მათ დავეუბნებთ ისრაელის სიყვარულს, იერუსალიმის და ჩვენი ადათ-წესებისადმი ერთგულებას, რომლებიც ასე განსაკუთრებულად გააჩნია ქართველ ებრაელთა თემს, ქართველ ებრაელთა შორის მცხოვრებმა ეგრეთ ნოდებულმა "პოლიტიკოსებმა" თავზე ქუდი უნდა დაიხურათ და გაიქცეთ ამერიკაში, ან ბელგიაში, ანდაც მოსკოვსა და სანქტ-პეტერ-ბურგში და იქ ეძიოთ თქვენი ბედი.

#### მოგონება მეორე-საპასუხო ვიზიტი

ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტე ოჯახში მომენვია ქ-ნი ლიკა გური თავისი დედა — ლამარა ბაზოვა-ზონენაშვილით. ამ დაპატიჟებით მინდოდა სამაგიერო გადამეხადა იმ საოცარი შეხვედრისა და მასპინძლობისათვის, რაც მან მომიწყო.

ეფრაიმისგან ვიცოდი, რომ იმ პერიოდში, საქართველოში უცხოელთად გამგზავრების გამო, შეხვედრას ვერ დაესწრებოდა. იმხანად მე ჯერ კიდევ არ ვიყავი დაოჯახებული და როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, სტუმრების პატივსაცემად შესაფერისი სუფრის განსაცობად დახმარება ჩემს დებს ვთხოვე.

დედა-შვილი დათქმულ დროზე მოვიდა, მოიტანეს ძალიან ლამაზი ვარდები და ძვირფასი შოკოლადები. მისალმებისა და ურთიერთგაცნობის შემდეგ სუფრას შემოვიუსხედით. საუბარი ქალბატონმა ლამარამ (ღმერთმაგაძლება მისცეს ასეთი შვილის დამკარგავ დედას!) დაიწყო:

- უცნაური ხასიათი აქვს ჩემს თვალსჩინს, ჩემი სიცოცხლის ერთადერთ წყაროს - ლიკას. ეს ხასიათი მას სტუდენტობის წლებიდან დასწმება: არ უყვარდა როცა სტუმრად ეპატიჟებოდნენ. დიდიდან ბუზღუნებდა: "სად მაქვს მე ასეთ ნვეულებზე სიარულის დრო!" მე ვუხსნიდი, თუ რამდენად უხერხული იქნებოდა მიუსვლელობა. ყოველთვის გულისყურით მისმენდა, საღამოს პირას გამოალებდა კაბებით სავსე გარდერობს, გამოილებდა პირველად შეხვედრის კაბას, გადაიცვამდა, თავს მოინესრიგებდა და უსიტყვოდ გავიდოდა სახლიდან.

როცა მან, აშკარად უჩვეულოდ გახარებულმა თქვენთან მოწვევის თაობაზე მაცნობა, საუბარი ასე დაამთავრა: "დედიკო, თუ სად და ვისთან მივდივარ, ამას საიდუმლოდ შევინახავ, სანამ ჩვენი



დამპატიჟებლების სახლის კარს არ მივაღებთ... და აი, დადგა თქვენთან სტუმრობის ასე ნაწინი და ასე გასაიდუმლოებული დღე. ლიკა დიდიან ძალიან კარგ ხასიათზე გამოვიდა საძინებელი ოთახიდან, ჩვეულებრივზე დიდხანს იტრიალა სარკის წინ, შემდეგ გამოალო ტანსაცმლის გარდერობი და იქიდან ათი სხვადასხვა კაბა გამოიღო, რომელთაც ტანზე იფარებდა და მეკითხებოდა: დედიკო, როგორ მიხვდება ეს კაბა? მე ჩემს აზრს ვუბნებოდი. ეს პროცესი ერთი საათი მაინც გაგრძელდა, სანამ ჩვენ ერთად არ ამოვირჩიეთ კაბა, რომელიც მას ყველაზე მეტად უხდებოდა. ამასობაში სადილის დროც მოვიდა, ჩვენ ჩავსხედით მანქანაში და დავადექით გზას. ნახევარი საათში ჩვენმა მანქანამ ამ დასახლებაში შემოუხვია და რვა სართულიან სახლთან შეაჩერა. რამდენიმე წუთიც და მე და ჩემი ქალიშვილი მეოთხე სართულის ნომერ 15 ბინის კართან ვიდექით, აქ ჩემმა ლიკამ გამიმხილა მის მიერ ასე გასაიდუმლოებული ჩვენი დამპატიჟების ვინაობა. "ჩვენ ვიმეორებოთ დ-რ დავით შიშვილაშვილის ოჯახის ბინის კარებთან" დაბალი ხმით ნაიჭურჩულა მან და ბინაში დასარეკი ზარის ღილაკს დააჭირა თითი. ჩემთვის ყველაფერი ნათელი შეიქმნა... აი, თურმე რატომ იყო ჩემი ჭკვიანი ასული ასე უჩვეულოდ გახარებული დღეს, აი, თურმე რატომ "იარაჩქებოდა" ჩემი ისედაც უღამაზესი ქალიშვილი ამ სახლში მოსვლის წინ!"

სამი სასიამოვნო და საინტერესო საათი დავყავით ერთად...

ქალბატონი ლამარას მონათხრობმა ასე დაადასტურა, მისი გონიერი და ლამაზი ქალიშვილის ჩემთან პირველი შეხვედრის დროს წარმოქმნილი სიტყვების გულწრფელობა. საღამოს ხუთ საათზე სტუმრები დაგვემშვიდობნენ და ჩვენც სახლში კმაყოფილი შემოვბრუნდით.

#### დიდი სიყვარულის სევედანი დასასრული

თალმუდი ბრძანებს: "ჩვენ გვევალება ვიცოცხლოთ (ვიმრომთ), მაგრამ ჩვენს ხელთ არაა ჩვენი სიცოცხლის (შრომის) დასრულება". 26 წელიწადი გაგრძელდა ამ მეტად საინტერესო და ნიჭიერი ადამიანების თანაცხოვრება. ადამიანთა ერთად ყოფნის ეს მცირე მონაკვეთი იყო დიდი სიყვარულის, ბედნიერების და არაჩვეულებრივი თანამეგობრობის ნლეტი.

2015 წელს ეფრაიმისა და ლიკას სიცოცხლის კაბადონზე მოულოდნელი და თავზარდამცემი მეხი გავარდა. ლიკას სამედიცინო გამოკვლევებმა ძალიან ცუდი შედეგები აჩვენეს. მას ჩვენი საუკუნის დაუმარცხებელი დაავადების დიაგნოზი დაუდგინდა. მსოფლიოს სამი ქვეყნის დედაქალაქებში (თბილისში, მოსკოვსა და იერუსალიმში) მკურნალობდნენ გამოჩენილი ონკოლოგები. ეფრაიმ გურს ერთი დღეც არ მიუტოვებია თავისი უღამაზესი ქალბატონი. ლიკა გამირულად შეებრძოლა მის თავს დატეხილ უბედურებას და ამ ორთაბრძოლაში სამწუნაროდ, დამარცხებული დარჩა. 2017 წლის 21 დეკემბერს, თავისი ძვირფასი მეუღლის - ეფრაიმ გურისა და მათი შვილების - დათოსა და მაიკის მზურუნველ ხელებზე დაღია სული. ცხოვრების მუა გზაზე ჩავსვენა ჩვენი თემის ერთ-ერთი თვალსაჩინო, გონიერი და მშვენიერი დედოფალის მზე.

იოსხლით, გასწორ გუნიამ!

დღეს, როცა გურამ ბათიაშვილის მე-80 წელთან დაკავშირებით მისი ცხოვრების სახელდახელო რეტროსპექციას გონების თვალს ვავლებ, ჩემი დებოუტიც მასსენდება. მით უმეტეს, რომ მწერალთა სახლში გამართულ საიუბილეო საღამოზე თეატრმცოდნე მაკა ვასაძის გამოსვლიდან ერთი პასაჟიც მენიშნა: ბატონი გურამი ყოველ შეხვედრაზე დაჟინებით მთხოვს, იქნებ, მაპოვნინო ნიჭიერი ახალგაზრდები, ჩვენს ჟურნალთან რომ ითანამშრომლონო.

ამ დაჟინებულ თხოვნას საფუძვლიანი მოტივაცია აქვს. ხშირია, როცა ინსტიტუტდამთავრებულ თეატრმცოდნეებს, ანუ დიპლომირებულ სპეციალისტებს ერთგვარი კომპლექსი უჩნდებათ. კომპლექსი, რომლის გამოც ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობის დანებება უჭირთ, ეძნელებათ. უფროთხიან უკვე აღიარებული რეჟისორებისა და მსახიობების ირონიულ ან სულაც მრისხანე რეაქციას დამწყები კრიტიკოსის ნააზრევზე, ამიტომაც პროფესიულ დებოუტს სულ უფრო და უფრო აყოვნებენ, იგვიანებენ.

პირადად მე პროფესიული სტარტი მეორეკურსელ სტუდენტს მხედა ნილად, როცა ჟურნალმა „თეატრალურმა მოამბემ“ (შემდგომში „თეატრი და ცხოვრება“) თავისი ფურცლები დამითმო. ბატონი გურამი მაშინ რედაქტორის მოადგილე იყო. იმ ჩემმა წერილმა ერთობ სოლიდური პრემიაც კი დაიმსახურა ნომინაციაში „საუკეთესო პუბლიკაცია“. ამაზე რა თქმა უნდა, ნამახალისა, გამბედაობა შემმატა. მას მერე, ჯერ ისევ სტუდენტს, ბატონი გურამი უკვე სისტემატიურად მავალეებდა თემებს. დავალეებებს მონდომებით, ყოველგვარი შიშის გარეშე ვასრულებდი. ვიცოდი, თუკი რაიმე შემეშლებოდა, ჩემი სტუდენტობის გამო შეპატივებოდა. ამიტომ, როცა ინსტიტუტი დავემთავრე, ზემოაღნიშნული ბარიერი გადალახული მქონდა. მერე ლენინგრადის ასპირანტურაშიც ჩავაბარე. იქიდან დაბრუნებულმა კი, ერთი ხანობა, ბატონ გურამთან, უკვე როგორც რედაქტორთან, სწორედ იმ ჟურნალში დავინწყე სამსახური, სადაც ფეხი ავიდგი და პროფესიული ნათლობა მივიღე. ჟურნალში, რომელზედაც გურამ ბათიაშვილის უზარმაზარი ამბავი აქვს განვლული; ჟურნალში, რომელიც თავის დროზე დიდმა საზოგადო მოღვაწემ, იოსებ იმედაშვილმა დააარსა და ძალიან გამებარდა, როცა საიუბილეო საღამოზე გოგი ყაჯრისმილმა თავისი პირადი კოლექციიდან სწორედ რომ ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, რარიტეტული სახსოვარი აჩუქა ბატონ გურამს: ბუკინისტისგან შეძენილი იოსებ იმედაშვილისი „თეატრი და ცხოვრების“ თავფურცელი – პოსტერი.



ტორთან, სწორედ იმ ჟურნალში დავინწყე სამსახური, სადაც ფეხი ავიდგი და პროფესიული ნათლობა მივიღე. ჟურნალში, რომელზედაც გურამ ბათიაშვილის უზარმაზარი ამბავი აქვს განვლული; ჟურნალში, რომელიც თავის დროზე დიდმა საზოგადო მოღვაწემ, იოსებ იმედაშვილმა დააარსა და ძალიან გამებარდა, როცა საიუბილეო საღამოზე გოგი ყაჯრისმილმა თავისი პირადი კოლექციიდან სწორედ რომ ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, რარიტეტული სახსოვარი აჩუქა ბატონ გურამს: ბუკინისტისგან შეძენილი იოსებ იმედაშვილისი „თეატრი და ცხოვრების“ თავფურცელი – პოსტერი.

საზგასმით მინდა აღვნიშნო გურამ ბათიაშვილის განსაკუთრებული აქტიურობა, შრომისმოყვარეობა. ბევრს ნერს და მის პიესებს თითქმის ყველა ჩვენი თეატრი დღემდე დგამს. დოკუმენტური ფილმებისთვის სცენარებსაც ქმნის. თეატრის მოღვაწეთა კავშირის ჟურნალის, „თეატრი და ცხოვრების“ გარდა, ებრაულ გაზეთ „მენორასაც“ გამოსცემს. სხვათა შორის, „მენორას ბიბლიოთეკის“ გრიფით სხვადასხვა ავტორის ნიგნებსაც ბეჭდავს. ბევრსაც მოგზაურობს, მერე კი მის თვალწინ ჩავლილი სახეებსა და სიტუაციებს ნიგნების ფორმატში აქცევს. ეს გამოცემები კი, ფაქტობრივად, დროს ინახავს. ისე, სხვათა შორის, ნანარმოებში შენახული დრო საქვეყნოდ განთქმული პრემია „ბუეკის“ მოსაპოვებლად ერთ-ერთი მთავარი პირობა და მოთხოვნაა. საერთოდაც, ერთგვარ არსებობაზე და დროის აღნუსხვის ტენდენციას არაერთი ავტორი მისდევს. შორს რომ არ წავიდე, თუნდაც ბატონი გურამის მეგობარი ნოდარ გურაბანიძე, თავის ჩანაწერებს ჯერ პუბლიკაციების სახით რომ სტამბავს იმავე „თეატრი და ცხოვრებაში“ მერე კი ნიგნებადაც გამოსცემს. ანდა წარსულში - ირაკლი ანდრონიკოვის მეტად პოპულარული პუბლიცისტური ესეების ტელევიცილებიც ხომ, ფაქტობრივად, დროს ინახავდა, დროს „აარქივებდა“. მაგალითების მოყვანა კიდევ და კიდევ შეიძლება.

და კიდევ: ალბათ, ბევრს ემხსოვრება წლების წინათ ჩემი და ბატონ გურამ ბათიაშვილის უკიდურესად მწვავე დაპირისპირება პრესის ფურცლებზე. მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღეს ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, რაც მართლაც ადამიანურ დიდსულოვნებას, სწორედ რომ ცივილიზებულობას საჭიროებს. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს სრულიად უმტიკონეულოდ, ყოველგვარი გარჩევებისა და ექსცესების გარეშე მოხდა, რაც ერთობ საგულისხშირ თვისება და პოზიტიური მახასიათებელია და რასაც ბატონ გურამს ნამდვილად ვერ დავუკარგავ.

დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ყოველივე იმ სიკეთეს ვუსურვებ გურამ ბათიაშვილს, რასაც ის თავად ისურვებდა.

მარიანა ბუზუკაშვილი

მადლიერების გამოხატვა მარიაზელზე

რა მშვენიერ ატმოსფეროში გაიმართა ამასწინანდელი შეხვედრა მარიაზელზე – მწერალთა მრავალისმომსწრე ისტორიულ დარბაზში ახალგაზრდულად 80 წლის ასაკში შესულ ბ-ნ გურამ ბათიაშვილთან.

მან ნამდვილად დამიხსახურა იმ დღეს ღირსეულ თანამედროვეთაგან „მთელი სინათლეები“ აღსავსე შეფასებები, რაც აღიარებული დრამატურგის, მთარგმნელის, მწერლისა და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწის დამსახურების კიდევ ერთი გამოხატულება იყო.

ათეული წლების მანძილზე ემსახურება ბატონი გურამი ქართული და ებრაული კულტურის გამდიდრებას, ორი ხალხის ოდინდელი ბრწყინვალეების ერთგვარ გაგრძელებას, განმტკიცებას, გამდიდრებას.

დროის მძაფრი შეგრძნებით, ცხოვრების შუქჩრდილების დაუფარავად წარმომჩენმა მისმა პიესებმა და პუბლიცისტიკამ, მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ მრავალწლიანმა (35 წელი) უაღრესად სასარგებლო, ნაყოფიერმა მოღვაწეობამ და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ბ-ნი გურამის იშვიათმა პიროვნულმა თვისებებმა როგორც პირადად მას, ასევე საქართველოს და ისრაელს მრავალი მეგობარი შესძინა.

არ შეიძლება არ აგადელვოს მწერლის ერთ-ერთ წერილში გაცხადებულმა დამოკიდებულებამ ქართველ-ებრაელთა ძმობის შესახებ, რომელიც გურამ ბათიაშვილის შთაბეჭქდავ ოთხტომეულშიც (2013) შევიდა: „ორიოდ სიტყვა ვთქვამთ იმაზე, თუ რა ვალზე ლაპარაკობს დავით ბააზოვი, რა ვალზეა დაწერილი ჩემი პიესა. ორივეგან საუბარია სწორედ იმ კაცურ, მამულიშვილურ ვალზე, რომელიც ყოველ წესიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს და აქვს იმ მიწის, იმ ხალხის, რომელზედაც დაიბადა, რომლის ნიაღვივაც აღიზარდა... მე ჩემი წინაპრის კვალში სვლას ვარჩევ... ყველა ყოველდღიურად ვისტუმრებთ ამ ვალს. ვისტუმრებთ ადამიანური გულთბილობით, პატივის მიგებით, ქვეყნის სამსახურით, ყოველდღიური შრომით – იმით, რომ ადამიანურად ვირჯებით“. ამით ყველაფერია ნათქვამი!

მადლობა ძვირფას ბ-ნ გურამს მისთვის დამახასიათებელი ადამიანური სითბოსთვის, ღრმა შინაარსით და ხალისით გაჯერებული შემოქმედებისთვის.

ვალერი ასათიანი

გუნიამ!

დავყურებ მაგიდაზე გადაშლილ შენს ოთხტომეულს და ვფიქრობ, ვფიქრობ შენზე, შენსა და ჩემს სამშობლოზე, დროის მდინარეებზე, ადრე აღაზანივით მდორედ რომ მიედინებოდა, აი ისე, კამეჩი რომ იცოხნება ხოლმე, ახლა კი გადარული, აბორგენული არაგვივით რომ მიაპობს კალაპოტს და ყველაფრის ნალექვას ლამობს.

80 წელი ცოტა ნამდვილად არ არის, თუ მათუსალას ასაკს არ შევადარებთ და მაინც, რამდენი მოგისწრია, რამდენი კულაპტარი დაგინთია აქაც და იქაც, შენს შორეულ ისტორიულ სამშობლოში, გოდების კედელთან.

რა საგულისხშირ რომანები დაგინერია, რა დიდებული პიესებით დაგიმშენებია ქართული თეატრის სცენა. თითოეული სტრიქონი გულის სისხლით გაგიფერავს, ათასგზის ავიწონია და ისე გაგიშვია ქართული მწერლობის ფარვატერში ხიფათიანი მოგზაურობისათვის.

დიდი ხნის წინათ აკაკი ბაქრაძემ ბრძანა, ამ პიესაში („ვალს“ გულისხმობდა, რომელიც მუდამ კათარსისის წარმომშობი ცრემლებით იყო დამბალი — ზ. ბ.) არის გახლენილი გულის კენესა და ეს გახლავთ მთავარიო. ბრძენი კაცი იყო ბატონი აკაკი და ამ დიდი მოაზროვნის ნათქვამს მოკრძალებით დავუმბატებდი, მარტო „ვალს“ კი არა, მთელ შენს შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს გახლენილი გულის კენესა და ეს გახლავთ მთავარი ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის – ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს ცნება, ვისთვისაც სამშობლოდ დიდი ჭეშმარიტება არ არსებობს.

შენ მხოლოდ შენი ებრაელი ძმების დარაჯი კი არა, ქართული სახელმწიფოებრიობის დარაჯიც ბრძანდები და ამაში შენი შემოქმედებაც გვარწმუნებს. ამაყობ იმითაც, რომ იმ ქვეყნის მოქალაქე ხარ, რომელმაც გულში ჩაიკრა ოტებულნი ჰურიანი და 26 საუკუნის განმავლობაში მათთან ერთად იყოფდა ლხინსა თუ ჭირს, ლუკმა-პურს. შენს ღირსებას ხომ ასე ლამაზად აქვითკირებდნენ აკაკი და კონსტანტინე გამსახურდია, საბა კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, სხვანი და სხვანი, ვისაც კი ბიბლიის ერის მადლისა სჯეროდა.

ქართველი მწერალი ხარ და ზოგჯერ შენი მკვახე შეძახილიც ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და შედუღებას ემსახურება. ამის დასტურია თუნდაც ბოლო დროს გამოცემული შენი ბრწყინვალე ნიგანი „სახეები და სიტუაციები“.

აკი, ჩემს თვალწინ განიცდიდა მეტამოფოზას ალმანახი „თეატრალური მოამბე“, შენს ხელში მნიშვნელოვან ჟურნალად – ქართული თეატრის მემატიანედ რომ გარდაიქმნა. ათწლეულები შეაღიე ამ ჟურნალის წინსვლას...

ოთხმოცი წლის შემოქმედს შენობით როგორ ელაპარაკებო, გაიფიქრებს მავანი, მაგრამ, ჯერ ერთი, როგორიც მახსოვდა, ზუსტად ისეთივე ხარ, სულაც არ შეცვლილხარ და მეორე კიდევ ის, რომ, როცა სუსტი სქესის წარმომადგენლებზე საუბრობ, ისე გაგიბრწყინდება ხოლმე თვალები, რომ სიბერემდე, ვატივობ, ჯერ კიდევ შორია.

დიდხანს იცოცხლდე, იხარე, ორი ერის ღირსეული შვილი და დარაჯო!

ზაალ გოტკოვილი

გუნიამ! არ შედრკა!

იშვიათად თუ ვინმე შეხვედრია თავის დაბადების დღეს ასე ხელდამშვენებული: შენი ნანარმოებების მოტივების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „Begalut“ („დევილობაში“ მარჯანიშვილის თეატრში, რეჟ. ლ. ნულაძე) ბრწყინვალეა თავისი რიტუალური უნიკალურობით, პლასტიკით, ცეკვით, თვალისმომჭრელი მეტაფორულობით და ღრმა სიმბოლოებით. ეს არის პანი, რომელიც მარკ შაგალის ფერწერულ შედეგებს და უნიჭიერესი იური შმელინგის სახელგანთქმული დასის პლასტიკურ ინსპირაციებს მოგვაგონებს.

შენი ახალი რომანი „ელიგულა და ხავი“ ჩვენი ქვეყნის საბედისწერო სურათებს გადაგვიშლის და მისი ყოველი ფურცელი გამსჭვალულია სულსმემძვრელი ტრაგიზმის განცდით, ხოლო „სახეები და სიტუაციები“ შენ მიერ ხილული უფრცვის სამყაროს მიმზიდველი კალენდოსკოპია.

ყოველივე ეს შენ შეძელი 2017 წელს!

ვისაც შენი საუბრები და გამოსვლები მოუსმენია, ვისაც ხელში აუღია შენი რედაქტორობით გამოსული ჟურნალის – „თეატრი და ცხოვრება“ – ნომრები, ვისაც უნახავს შენი პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლები, ის, უეჭველია, მოხიბლულა კიდევ შენი გონიერებით, გამჭრიახობით, ოსტატობით და სიკეთის მსახურებით.

მე კი ყველა შენი ნანარმოები ნამიკითხავს, ყველა შენი სპექტაკლი მინახავს და უნდა ვითხრა, რომ შენ მაგონებ სიკეთითა და სიბრძნით გამორჩეულ ყველა იმ რაბინს, რომელნიც ასეთი ძალიან და გამომსახველობით გყავს დახატული შენს რომანებში.

დღეს ეს რაბინი შენა ხარ ჩვენს შორის, ანუ, უფრო ზუსტად, შენა ხარ მრავალსახეობა ამ რაბინისა. გულით გავიხარე შენი ღვაწლისა და შემოქმედების დამფასებელთა იმ სიტყვებით, რაც მწერალთა კავშირის მიერ შესანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე მოვისმინე. იქ ნათლად გამოჩნდა, თუ როგორ გაფასებენ დღევანდელი ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწენი. მამ, „იკმარე დიდი აზრით მოგვირილი ზეციური სიხარული და უსაზღვრო ნეტარება. ეს ღვათბრივი საიდუმლოა, რომლის მონაწილენი არიან უფალი ღმერთი და შენი სული... უფალმა უწყის, უფალი ხედავს, უფალი არავის ივიწყებს“ (გაბრიელა მისტრალი. „პოემები პროზად“. თარგმანი მანანა გიგინეიშვილისა).

დიახ, უფალი, ამავე დროს, ხედავს და უფალმა უწყის, თუ რაოდენ უსამართლოდ მოგექცა „თეატრის მოღვაწეთა კავშირის“ ახალი ხელმძღვანელობა, როცა შენი მე-80 წლის იუბილე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორობიდან განთავისუფლებით „მოცილიცა“. ჟურნალისა, რომლის რედაქტორობას, ანუ რომლის აღორძინება-განახლებას თითქმის მთელი ცხოვრებაც მიუძღვენი.

რას იზამ! არ უწყიან დიდი ხნის ნათქვამი სიბრძნე: „ისე ვერავინ დაანგრევს გუშინდელ ციხე-ბურჯებს, ნანგრევებში რომ არ მოჰყვებს“.

ასე რომ – გუნიამ! არ შედრკე!

ნოდარ გურაბანიძე

ბატონ გურამ ბათიაშვილს



გვაქვს პატივი, ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას — გურამ ბათიაშვილს სულითა და გულით მოგილოცოთ 80 წლის იუბილზე.

თქვენს ნაწარმოებებში ნათლად ყლერს როგორც საქართველოს სიყვარული, ასევე ებრაელი ხალხისადმი ერთგულება.

ის მრავალრიცხოვანი პრემიები და ჯილდოები, რომლებიც სხვადასხვა დროს მოგნიჭებიათ, არა მხოლოდ თქვენი, როგორც მწერლისა და დრამატურგის, შემოქმედებითი ღვაწლის აღიარება გახლავთ, მაღლიერების გამომხატვაც იმ წვლილის გამო, რომელიც ქართულ კულტურაში შეგაქვთ.

გურამ, გილოცავ ამ შესანიშნავ დღეს!

80 წელი ეს დიდი თარიღია, და ამავე დროს ნიჭიერი კაცისთვის ცხოვრების ერთი ნაწილი ამიტომ გისურვებ ბიბლიურ 120 იუბილზე გეზიემოს შენს ოჯახთან ერთად, ამენ!!!!

მაიკლ ლათიკაში, ნიუ-იორკი

ჩემო გურამ!

გილოცავ სულით და გულით. გეფერები როგორც მეგობარს და როგორც შესანიშნავ შემოქმედს. შენ წარუშლელ კვალს ტოვებ ქართულ ლიტერატურაშიც და ებრაული კიბუც გალუიოთის მწერლობაშიც. შენ გვჭირდები დიდხანს, დიდხანს და ამიტომ ულევ ჯანმრთელობას გისურვებ. ჩემს დალოცვას სჯობია, გამჩენმა დაგლოცოს: „აღ მეა ვესრიმ!“ ჩვენ, ქართველი ებრაელები, შენ რომ ასე რუდუნებით წარმოსახავ, ვიტყოდით, „ყად მეა ვეყესრიმ!“

ქართულადაც გეტყვი: მრავალჟამიერ, ჩემო გურამ!

პროფესორი რაშვიანი ენონი, იერუსალიმი

ყურადღებით ვადევნებთ თვალს თქვენს შემოქმედებას. ამიტომაც იყო თბილისის მარჯანიშვილის თეატრის თელ-ავივში გასტროლისას, რომელმაც შოლომ ალენისევისა და თქვენი ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ნაწარმოები წარმოადგინა, სიამოვნებით ჩავატარეთ ისრაელელ მკითხველთან თქვენი შეხვედრა.

ვიცი რომ 80 წლის იუბილზე შემოქმედებით ძალთა აღმავლობით, ახალი გეგმებით აღვსილი ხვდებით.

სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ძლიერ ჯანმრთელობას, მთაგონებასა და წარმატებას!

ვიტოვებთ თანამშრომლობისა და ახალი შეხვედრების იმედს!

მაზალ ტოვ!

120 წლამდე!

გულწრფელად თქვენი:

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხაილ შირილაშვილი გენერალური დირექტორი ხაიმ ჰან იაკობი, გამგეობის წევრები, ეაე კონგრესის თანამშრომლები

გილოცავთ იუბილზე, ბატონო გურამ! ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. 120 წლამდე.

დიდი პატივისცემით,

პროფესორი დანიელ ლევი, თელ-ავივი

გურამ ძვირფასო, გამარჯობა. შევიტყვე, რომ ამ დღეებში შეგისრულდა 80 წელი. გილოცავ სულით და გულით. მე მიყვარს და ვაფასებ პიროვნებასაც და მის ქმნილებებსაც. მე მიყვარს პიროვნებასთან შეხვედრა და სიამოვნებას ვღებულობ მისი ნაწარმოებების ნაკითხვით (რა თქმა უნდა მხედველობაში მაქ ის, რომელიც ივრითზეა თარგმნილი).

გისურვებ მრავალი წლის კარგ ჯანმრთელობას და მშვენიერ ქმნილებებს. ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც შეგხვდები, როგორც შენ პირადად, ისე შენს ნაწარმოებებს.

დიდი სიმპატიით მწერალი, პროფესორი ორცინ ბარტანა, თელ-ავივი

ახალი თარგმანი „დაკითნი“- დაკიდის საბალოლები

გამოვიდა -თელიმის ახალი თარგმანი. დავითის ფსალმუნები საქართველოში დავითის სახელით გახლდათ ცნობილი და გამოცემის მოთავეებმაც ეს სახელი გააცოცხლეს.

ამ გამოცემის ღირსება გახლავთ ის, რომ მას ერთვის გამოჩენილ ებრაელ თეოლოგთა კომენტარები-განმარტებები თელიმის ამათუიმ ტაეპისა. ეს საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ კომენტარების ავტორებად გვევლინებიან სრულიად სხვადასხვა ეპოქის თეოლოგები, რაბინები, ზოგ შემთხვევაში, მსოფლიო სახელის მქონე რაბინებიც კი.

საგალობლებისა და კომენტარების თარგმანი ქართულ ენაზე, ნიგნის დიზაინი, კომპიუტერული მომსახურება, რედაქტირება და კორექტურა ეკუთვნის კავკასიის ხალხთა აკადემიის აკადემიკოსს, ფილოლოგიის დოქტორს, პროფესორ ეთერ თოფჩიაშვილ-გიგინეიშვილს.

ცნობილია, რომ ფსალმუნთა რამდენიმე თარგმანი არსებობს. ამ კლასიკური ქმნილების თარგმანება განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მას უშუალოდ დედნიდან თარგმნიან ქართველი ებრაელი პოეტები, მთარგმნელები, საულიერო პირები. ეს თარგმანები უმეტეს შემთხვევაში დადებითად ხასიათდება.

წინამდებარე თარგმანის ღირსებად ისიც მიიჩნევა, რომ ე.თოფჩიაშვილი გიგინეიშვილისა ხშირ შემთხვევაში ამოცანას კარგად ართმევს თავს. ფსალმუნისეული სტრიქონი ერთობ სისრულით მიდის მკითხველამდე.

„უფალო, რატომ გამდგარხარ განზე, გაჭირვების ჟამს თვალს რად მარიდებ, 2. როს ქედმაღლობით შეპყრობილი უკეთური უპოვარს დევნის, და ბეჩაენი მათს განზრახულ მახეებში იხლართებიან? 3. რადგან ტრახახობს უკეთური დაურვებით თა-

ვის ვნებათა, ხარბი უფლის ძაგებით მოიხვეჭს სახლს, 4. ქედმაღალი უკეთური შენ არ გეძიებს, რამეთუ ფიქრობს, რომ არ არსებობს არც კანონი, არც მოსამართლე, მზაკვრობისათვის რომ დასჯის უმაღ. 5. გამარჯვების გზით დადის ყოველჟამს, შორსაა მისგან შენი სასჯელი; ყველა მტერს სულის შებერვით ფანტავს.“


მეთე ფსალმუნი ან

„უფალი-- მეფეა სიდიადით გარემოსილი, შემოსა უფალი, ძლიერება გარს შემოირტყა. და სამყარო განამტკიცა არ შეირყევა. 2 ურყევია შენი ტახტი დასაბამიდან, და შენ სუფევ უკუნიითი უკუნიისამადა! 3. აღიმალღეს მდინარეებმა, უფალო, მდინარეებმა აღიმალღეს თავიანთი ხმა-- და ატეხეს მდინარეების წყლებმა გუგუნი. 4 უამრავ წყალთა ღრიალზე, და ზღვის ტალღებზე ძლიერია--უფალი ცაში. 5. შენი მოწმობანი ფრიად სარწმუნოა, სახლი შენი მშვენიერია შენივ სინმინდით. უფალი სამარადჟამოდ იქ მოივანებს“

ან 79-ე ფსალმუნი და მისი კომენტარი:

„ო, ღმერთო, წარმართნი მოვიდნენ შენს სამკვიდროში, ნაბილწეს შენი წმინდა ტაძარი, იერუსალიმი ნანგრევებად გადააქციეს. გვაშები შენი მსახურებისა შეაჭამეს ზეციურ ფრინველთ, ხოლო ნეშტი მოსავთა შენთა-დედამიწის ველურ ნადირებს 3. წყალივით ღვრიდნენ სისხლსა მათსა იერუსალიმის შემოგარენში და დამმარხავი არავინ იყო.“

მოყვანილი ციტატებიდან ვფიქრობთ, მკითხველი გრძნობს შინაგან რიტმს, მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი არ აცხადებს პრეტენზიას პოეტურ თარგმანზე, და-



ვას გამოისყიდის (ბთ, სანჰედრინი, 47აბ)

3. და დამმარხავი არავინ იყო. რამეთუ გადარჩენილებს ემინოდათ მათ დასამარხად სამალავიდან გამოსვლა და ა.შ.

„დავითნი“ დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდისა და ბ-ნ დავიდ იაკობაშვილის მხარდაჭერით.

მთარგმნელი-პროფესორი ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილი ნიგნის შექმნასა და გამოცემაში უდიდესი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოახსენებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, დიდ ქველმოქმედსა და კეთილშობილ პიროვნებას, ბ-ნ დავით იაკობაშვილსა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს და ფონდის გენერალურ მენეჯერს ბ-ნ ლაშა ჟვანიას.

წინასიტყვაობაში პროფესორი ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილი წერს: „გადავწყვიტე, რომ დავიდის საგალობლების ჩემეული თარგმანი შემესრულებინა, ისე, რომ ჩემ მიერ ნათარგმანები საგალობლები დედანთანაც ახლოს ყოფილიყო და თავისი შინაგანი მუსიკალობაც შეენარჩუნებინათ, ამასთანავე ქართული ენის ბუნებაც ყოფილიყო გათვალისწინებული.“

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული საგალობელი დავიდ წინასწარმეტყველის ცხოვრების გარკვეულ პერიპეტებს ასახავს-მის შევნიშობებს მტრების მიერ, თუ მათზე გამარჯვებას, მის წინააღმდეგ საკუთარ შვილთა შეთქმულებას და განდევნას, თუ ღირსეულად დაბრუნებას, ის სულიერ განცდებს, თუ მაღლიერებას ღმ-თის მიმართ.“

ვიდის ფსალმუნი პოეტური პროზა უფროა, ვიდრე ტრადიციული სალექსო ფორმით დანერგილი საგალობელი. მთარგმნელი ამით დედნიდან ერთგულდება ინარჩუნებს.

კომენტარებიც ვიხილოთ. სანიმუშოდ ავილოთ ზემოთმოხმობილი 97-ე ფსალმუნის ციტატა:

1. წარმართნი მოვიდნენ შენს სამკვიდროში - ეს ფსალმუნი იერუსალიმის იავარქმნის წინასწარმეტყველებაა, გვაშები შენი მსახურებისა... ნეშტი მოსავთა შენთა... მართლმორწმუნეთაგან განსხვავებით, „მსახურნი“ არიან ისინი, ვინც სიკვდილი ცოდვების გამო დაიმსახურეს, მაგრამ რამდენადაც მოაკვდინეს, ნაწერები მათ გამჩენის „მსახურებად“ მოიხსენიებს, რამეთუ მოძალადის ხელით სიკვდილი ცოდ-

# ემისი უპიტიხვა „ქართველ ებრაელთა ისტორიის“ ავტორს კროფესორ ელდარ მამისტვალიშვილს

— რამდენიმე ძალიან საინტერესო გამოკვლევის ავტორი ბრძანდებით. ყურადღებით სწავლობთ საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიას, მათს შორის საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობას. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თქვენი წიგნი „ქართველ ებრაელთა ისტორია“, რომლის ანალოგი ქართულ საისტორიო ლიტერატურაში არ მოიპოვება. დღეს, წიგნის გამოსვლიდან ოცი წლის შემდეგ, რას იტყვით ამ წიგნის თაობაზე:

ა) მიზრუნებიხართ თუ არა, ან აპირებთ თუ არა მიუბრუნდეთ ამ გამოკვლევას - განავრცოთ იგი, ან შეავსოთ უახლესი საუკუნეების მოვლენებით?

— „ქართველ ებრაელთა ისტორიის“ ქართულ ენაზე გამოქვეყნების შემდეგ მის გადაშეგებასა და შევსებაზე აღარ მიმუშავია. მხოლოდ რუსული (2011 წ.) და ინგლისური (2014 წ.) გამოცენები შევავსე და მივიყვანე 1921 წლამდე. დაფუძნებული, აგრეთვე, მცირეოდენი ეთნოგრაფიული მიმოხილვა, რაც ჩემი ვარაუდით, საინტერესო უნდა იყოს უცხოელი მკითხველისათვის.

ბ) როგორი გახლავთ წიგნის გავრცელების არეალი - გახდა თუ არა იგი სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ებრაელების თუ სამაგიდო წიგნი არა, სერიოზული ყურადღების საგანი?

— მცირე ინფორმაცია მაქვს. არა მგონია რომ იგი ძალიან იყო გავრცელებული. ალბათ, მხოლოდ მათ აქვს, ვისაც მე თვითონ სხვადასხვა დროს საჩუქრად გადავეცი და მცირე კი მოხვდა გაყიდვაში.

2) რატომ არ არის სარწმუნო და გასაზიარებელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კრიონის მოსაზრება, რომელებიც გვამცნობს, რომ ებრაელობა საქართველოში ძვ. წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეში მოვიდა, მაშინ როცა ებრაელთა მიწა-წყალი ასირიელებმა ააოხრეს?

— თუ გავითვალისწინებთ იმ მიგრაციულ პროცესებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ სამყაროში, სრულიად დასაშვებია, რომ ებრაელები მეექვსე საუკუნემდეც მოდიოდნენ საქართველოში და სახლდებოდნენ კიდევ. ამაზე მიუთითებდა ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც ამბობდა, რომ ნაბუქოდონოსორისგან ლტოლვილ ებრაელებზე ადრეც

იყვნენ მოსულნი ებრაელები საქართველოში. დიდ ისტორიკოსს მხრდველობაში უნდა ჰქონოდა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ III-ის მიერ ისრაელიდან აყრილი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც მიდიასა და მესოპოტამიაში გადაასახლეს ძვ. წ. 722 წელს. ასე, რომ კათალიკოს-პატრიარქი კრიონ II ეყრდნობოდა ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებდა იმ ისტორიულ რეალებს, რომელიც მოხდა ძველ მახლობელ აღმოსავლეთში.

3) არსებობს მოსაზრება: იმ გარემოებამ რომ საქართველოში ებრაელობა საეკლესიო ყმებიც იყვნენ, დიდი ზეგავლენა მოახდინა მათი ცხოვრების წესზე და ისინი ერთგვარ იზოლირებულ ცხოვრებას ეწოდნენო. ასეა?

— დავიწყოთ იმით, რომ ქართველი ებრაელები ლოიალური იყვნენ მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ ზოგადად და, განსაკუთრებით კი, ქართული ეკლესიის მიმართ. საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიაში უნიკალურ მოვლენასთან: ცნობილია, რომ ქრისტიანულ ქვეყნებში ანტისემიტიზმის, ებრაული მოსახლეობის რბევის და სხვა მრავალი უბედურების ინიციატორი ეკლესია იყო. ქართული ეკლესია კი გამოდიოდა ებრაელების დამცველად. ებრაელები კი, ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული ძალადობის პირობებში მიიღტვოდა ეკლესიის ყმობისაკენ. ეკლესია ხელს უწყობდა მათ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ყოველ შემთხვევაში, მათ ცხოვრებას ასატანს ხდიდა. გამიჭირდება თქმა იმისა, როგორ გავლენას ახდენდა ქართული ეკლესია მათ ცხოვრებაზე. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ერთმანეთის სიახლოვეს მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური თემები ყველა დროში განიცდიდნენ ერთმანეთის გავლენას. ძველსა და შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი იყო ტომობრივ-გვაროვნული კარჩაკეტილობა. ვაჭარი ებრაელი დადიოდა ყველგან სადაც მას თავისი ეკონომიური მდგომარეობა აძლევდა საშუალება. ხელოსანი და მიწათმოქმედი, ჩვეულებრივ, ერთ ადგილზე რჩებოდა.

4) როგორ შეაფასებდით ებრაელობის როლს საქართველოს ეკონომიკის, კულტურის მენარმეობის განვითარების საქმეში, მხოლოდ საკუთარი თავის გადასარჩენად



იბრძოდნენ, თუ საქვეყნო საქმეებშიც მონაწილეობდნენ?

— ქართველი ებრაელები ამ ქვეყნის შვილები იყვნენ და დიდად არ განსხვავდებოდნენ სხვა ეთნიკური მოსახლეობის ძირითადი მასისაგან თავიანთი უფლებრივი მდგმარეობით და ეკონომიკური შესაძლებლობებით. ებრაელებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქვეყნის განვითარების გარდამტეხ პერიოდში, კერძოდ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეში. ეს საყოველთაოდ ცნობილია; ებრაელები-სადმი დამოკიდებულების საქმეში, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ებრაელების საშუალებით ქრისტიანობის ნარმოშობის კერასთან, იერუსალიმთან ქართველთა ურთიერთობას; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაგრატიონების ნარმოშობის თეორიას, რაც მათ ებრაულ ნარმოშობაზე მიუთითებდა; ებრაული მოსახლეობის შედარებით მცირერიცხოვნებას თუ გავითვალისწინებთ, ისინი მნიშვნელოვნად მონაწილეობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით გვიანფეოდალიზმის ხანაში; აქტიურად მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაზეც საკმაოდ დანერვილა და თქმულა...


5) თქვენ გორში ცხოვრობთ, ხართ გორის უნივერსიტეტის პროფესორი, აქტიურად მონაწილეობთ გორის ებრაული თემის ცხოვრებაში, რამდენადაც გვახსოვს, წიგნიც

კი დანერეთ ამ შესანიშნავ თემზე. რას იტყვით მკითხველს: როგორია გორის ებრაელობის დღევანდელი მდგომარეობა, კვლავაც ინარჩუნებს ეროვნულ იდენტობას, თუ...?

— გორის ებრაელთა თემის ცხოვრებაში ვერ ვმონაწილეობ ისე აქტიურად როგორც სასურველია. ამისათვის არსებობს სხვადასხვა მიზეზი, ძირითადად კი მოუცლევლობა; გორელი ებრაელების შესახებ რაიმე წიგნი არასოდეს დამინერია. მხოლოდ „გორის ისტორიის“ II ტომში მოვათავსე ერთი პატარა თავი; დღეისათვის გორის ებრაელობა ძალზე მცირერიცხოვნია; იდენტობას, რა თქმა უნდა, ინარჩუნებს.

6) ძალიან ბევრი ებრაელი წავიდა საქართველოდან, როგორც ხუმრობენ, გონიერი ებრაელი საქართველოში დარჩენილ ებრაელობას ნიუ-იორკიდან, ან იერუსალიმიდან ესაუბრება. მთავრდება მრავალსაუკუნოვანი ქართული ებრაული ეპოპეა?

— ებრაელების დიდი ნაწილის წასვლა საქართველოდან, თუ ობიექტურნი ვიქნებით, გამოწვეული იყო არა რელიგიური ან სოციალური დევნა-შევიწროებით, არამედ ისეთივე პრაგმატული მოსაზრებით, რომელმაც საქართველოდან წაიყვანა, დაახლოებით, მილიონნახევარი ადამიანი, ადამიანები ხომ მუდმივად უკეთესი ცხოვრების პირობების ძიებაში არიან. მჯერავს, რომ დადგება დრო, როდესაც მრავალ ქართველთან ერთად მრავალი ებრაელიც დაბრუნდება საქართველოში.



# სეფარდული სამზარეულოს ქართული სურნელი<sup>1</sup>

ქეთევან ლორთქიფანიძე, გურამ ლორთქიფანიძე

2017 წლის მიწურულში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მივლინებული ვიყავი სტამბულში, საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად (პროფ. გ. გრიგოლია, პროფ. რ. მაღაყმაძე, დოქტ. კ. ფიცხელაური) უნდა გვეპოვნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის, თერგდალეული გენერალ ლეიტენანტის, მეცნიერისა და მწერლის გიორგი ყაზბეგის (1839-1921) დაკარგული საფლავი. თურქეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა გვიჩვენეს, რომ უყურადღებოდ არ დაგვეტოვებინა კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა სასაფლაოებთან ერთად (ფერი კოი, შიშლი და სხვ.) იუდეველთა საფლავებიც სტამბოლის ცენტრში (უდესი). რადგან იქ მათი ინფორმაციით, როგორც გამონაკლისი, ქართველებიც იმარხებოდნენ. ამ სასაფლაოს შესწავლა, სადაც ჯანაშვილები (ჯანიტლები) საგვარეულო საფლავებიც ყოფილა

მომავლისათვის გადავდეთ, რადგან გ. ყაზბეგის საფლავს ბერძნულ-რუსული მართლმადიდებლები ნეკროპოლზე მივაკვლიეთ. სტამბოლელმა ქართველებმა გვაჩვენეს სტამბულში რამოდენიმეჯერ გამოცემული წიგნი, თურქულსა და ინგლისურ ენებზე (**Sefard Yemekleri – Sephardic Cooking Book, Istanbul – Subat**, 1990 წ.). მათი გადმოცემით ტრადიციულად ქართველებს, როგორც მუსლიმებს ასევე ქრისტიანებს, კათოლიკეებს თუ მართლმადიდებლებს მჭიდრო ძმური ურთიერთობა ჰქონიათ. რაც მათი აზრით ერთგვარად ამ „სამზარეულო წიგნშიც“ აისახა. წიგნის ავტორები ქალბატონები ვიკი კორონიო და სიმა თვადია წინასიტყვაობაში, აღნიშნავენ: ხუთი საუკუნის წინ ესპანეთიდან თურქეთში მინა-წყალზე გადმოსახლებულმა, მოსეს სჯულის მიმდევრებმა თავიანთ ტრადიციებთან ერთად ჩამოიტანეს თავისი კვების კულტურა (გვ.6). ის გამოიცა „მოხუცთათვის დახმარების თურქეთის ებრაელი საზოგადოების სახსრებით“, „საყ-

ვარელი დიდებულების და დედების პატივსაცემად ებრაული სამზარეულო კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ჩვენ დღემდე მოაღწია მემკვიდრეობის სახით თანამედროვე ცხოვრების ცვალებადმა კანონებმა, ამ კულტურის დაკარგვის მიზეზი ხდება ავტორების სიტყვებით: „ჩვენი ხალხი სამზარეულოში უკვე, სულ უფრო ნაკლებ დროს ხარჯავს რესდელისობით ქაშერული საკვების ადგილს თურქული ტრადიციული კერძები. „ქუფთე“ და შემწვარი კარტოფილი იკავებს. ამიტომაც გავვიჩინა სურვილი ამ წიგნით გაგვეცოცხლებინა ტრადიციული ებრაული კერძები და დაგვეცვა ისინი.“ როგორც თავად აღნიშნავენ ავტორები ისინი არ არიან კულინარიის სპეციალისტები, პროფესიონალი მზარეულები მათ ებრაელებში შეაგროვეს ჯანმრთელობისათვის მარგი, სასარგებლო საკვების, პოპულარული საჭმელების რეცეპტები. ისინი ითხოვენ მიტევებას თუ ამ პროცესში შეცდომები დაუშვეს „მათ“ მხოლოდ ამ ტრადიციული კულტურის გადარჩენის სურვილი ამოძრავებდათ“. და თუ ეს დაუფასდათ, ქალბატონების ვიკი და სიმა თავს ბედნიერებად ჩათვლიან. მათ ნაშრომში 13 (გვ.19)

განთავსებულია საჭამადი — „მუავიანი“ ესაა ტყემლის, ბოსტნეულის წვნიანი — „ქართული ტრადიციით“, მის დასამზადებლად საჭიროა ორისამი თავი, სამუალო ზომის ხახვი, ერთი კონა ოხრახუმი, 250 გრ. მწვანე ტყემალი, ნახევარი კონა პიტნა, ერთი ყავის ფინჯანის ბრინჯი 1.5 ლიმონის წვენი, ერთი კოვზი შაქარი, ერთი კოვზი ტომატი. მოდულების შემდეგ დაემატება წინასწარმოხარული საქონლის ხორცი და კამა. 24 არის გატარებული აღნიშნულ წიგნში „ქართული ტრადიციული“. ღვეზელი — „ლობიანი“ გვ.27, შემადგენლობა: „ორი ჭიქა ხმელი ლობიო, ერთი ყავის ფინჯანი მზესუმზირის ზეთი, ერთი თავი ხახვი. 200 გრამი ფენოვანი ცომი, 1 კვერციხი, ლობიო წინასწარ, ღამის განმავლობაში წყალში უნდა დაიღოს, შემდგომ ცხიმისა და დაკეპილ ხახვთან ერთად უნდა მოიხარშოს, დაიჭყლიტოს. მიღებული მასა გაიბრტყელოს, შემდეგ პირი მოუკრან შიგთავსს. ზემოდან ნაუსვან კვერცხის ხსნარი და შედგან გამოსაცხოზ ღუმელში. იმედია ეთნოგრაფები დაინტერესდებიან თუ რა გზით და როდის დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი ქართულმა კერძებმა „სეფარდულ სამზარეულოში“.

1. ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტით (81/26-2.101/14)

## ეილათი — ყველაზე ლამაზ კურორტთა შორის

ეილათის მერს თფიციალურად შეატყობინეს, რომ ეილათის ყურეში მდებარე კურორტმა ეილათმა მიიღო საერთაშორისო აღიარება და შეტანილია მსოფლიოს საუკეთესო კურორტთა სიაში. ამ სიაში კი მსოფლიოს საზღვაო კურორტთაგან სულ 25 კურორტია შესული. ამათ შორისაა სან ფრანცისკოს ყურე, პორტ დე ფრანსი, აგადირი (მაროკო) და სხვ. ეილათის მსოფლიოს ულაშაზეს კურორტთა სიაში შეტანის ერთ-ერთი მიზეზი ისიც ვახლავთ, რომ მთელი ყურის ვასწვრივ სანაპირო მოფენილია კორალებით. ამ სანაპიროზე 270 სახეობის კორალია, ამას გარდა, ეილათის წყლის ნაგრძალში 2500 სახეობის თევზია, თევზების ზოგიერთი სახეობა მხოლოდ აქ შეპოვნია.



ძვირფასო მეგობრებო, მომავალ თვეში თქვენს გაზეთს — საქართველოში გამოშვებულ ებრაულ გაზეთს — 25 წელი უსრულდება. საუკუნის მეოთხედაა გაზეთი „მენორა“ შეუფერხებლად გამოდის და ცდილობს იყოს თქვენი მესიტყვე.

საიუბილეოდ გამოსაცემად მზადდება ტრადიციული კრებული „მენორა 25“, რომელშიც შედის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი საინტერესო მასალები.

თუ გაგიჩნდებათ სურვილი მიულოცოთ თქვენს გაზეთს საიუბილეო თარიღი, „მენორა“ მზად არის მიიღოს თქვენი მოლოცვები.

	<h1>მენორა</h1>		გამოდის 1993 წლის მარტიდან
	დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში „MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA		
	თებერვალი აღარი №2 (438) (5778) 2018	<b>„מנורה“</b> <b>יהודי ויוני</b> <b>היאגრა</b>	
„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ			

## ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში



სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ დიდ პრობლემად იქცა მასობრივი მიგრაცია. ქართველისთვის მშობლიური მიწის მიტოვება ყოველთვის ტკივილთან იყო წილნაყარი. თავისი მზისა და მთვარისთვის უნდა ეყურებინა, ხნულიც აქ გაველო, მარცვალა აქ ჩაეთესა და მოსავალიც საკუთარ ვენახსა თუ ბაღში აელო. ახლა თითქოს სხვა გზა არ დაგვიტოვებს, მიდის სხვა ქვეყანაში ხსნის, გადარჩენის საძებნელად. მიდის და სამშობლოს მანაც ვერ ივინყებს, თან მიჰყვება ავგაროზივით. სულს საზრდო სჭირდება, სულ რომ არ გამოშრე, არ გამოიფიტო, შენს თავსაც შეეშველო და საკუთარი მამულის წინაშე ვალდებულიყო აღასრულო.

მარინა გელაშვილის გაკეთებულ საქმეებს ნებისმიერი ბორჯომელი გიამბობს. ისეთი პროექტები განახორციელა, დედაქალაქსაც კი დაამშვენებდა. მაგრამ ხშირად ქვეყანა თავის საუკეთესო შვილებს უფრო მკაცრად და დაუნდობლად ექცევა. თითქოს აქ აღარაა შენთვის ადგილი, ჰაერი, მაღლი და იძულებული ხარ სხვაგან წახვიდე. საქართველოზე, მის თითოეულ კუთხესა თუ კუნჭულზე, უზომოდ შეყვარებული მარინა დაღეს ემიგრანტია. მისი ინიციატივით ისრაელში დაარსდა ქართული ხელოვნების ცენტრი. გადავწყვიტე

ხატავს და აჩუქებთ. წერს ლექსებს და საინტერესოდ კითხულობს.

ჩვენ ერთმანეთის გაცნობით გავიხარეთ, რადგან ჩვენი სურვილები და მიზნები დაემთხვა. ზურას სტუდია, რომელიც საკუთარი შრომით ჰქონდა შექმნილ-შეკონსტრუირებული, საუკეთესო საძირკველი აღმოჩნდა ხელოვნების ცენტრის დასაფუძნებლად. შევიკრიბეთ სხვა თანამოაზრეებთან ერთად, ვინაიდან ზურა მოქალაქე იყო, მის სახელზე დავარეგისტრირეთ ოფიციალურად და ერთხმად ავირჩიეთ დირექტორადაც. ზურა ბერიაშვილს გამოცდილებასთან ერთად საქმის ერთგულება და პასუხისმგებლობაც დიდი აქვს. მისი მეუღლე, ირინა დევდარიანი, მუსიკალური სექტორსა და ბავშვთა სტუდიას უხელმძღვანელებს.

### — იქნებ, ქართული ხელოვნების ცენტრის სხვა წევრებზეც გვესაუბროთ.

— სამხატვრო ხელმძღვანელად ქართველი ებრაელი, ხუთი შვილის დედა, ქალბატონი ციალა იოსებაშვილი ავირჩიეთ. პროფესიით მხატვარი ყველაფერ ქართულზე უსაზღვროდ შეყვარებულია. დიდი ენთუზიაზმი აქვს, ოღონდ წარმატებული შედეგი მივიღოთ და დღე და ღამე არ დაიძინებს. მისი ოჯახის კარი მუდამ ღიაა ჩვენითვის. იქ ზღვა სი-

თითოეული მათგანის მისასალმებელი სიტყვა სიყვარულით აღსავსე იყო საქართველოსა და ქართველი ემიგრანტების მიმართ, ნუგეშის მიმცემი და მოსაფერებელი. მათ თავად აქვე უდიდესი ნოსტალგია საქართველოს მიმართ და ჩვენზე არანაკლებ განიცდიან ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას.

### — რა გეგმები აქვს ცენტრს?

— ვემზადებით სავაზაფხულო კონცერტისთვის, რომელშიც ემიგრანტებთან ერთად ქართველი ებრაელობაც მიიღებს მონაწილეობას. საქართველოდან მხარდასაჭერად ყოფილი ნუგაბა სკოლები ნათია სუდაძე გვესტუმრება. ნათია ბავშვობიდან გაიზარდა ქართულ-ებრაული ურთიერთობების სიყვარულით. ჩემ მიერ განხორციელებულ პროექტებში ებრაულ სიმღერებს ასრულებდა. ვგეგმავთ, ინტელექტუალურ თამაშებს, რომლის თემა „გვფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ეპოქა იქნება. ასევე დაგეგმილი გვაქვს პერიოდული შეკრებები, სადაც განვიხილავთ ჩვენი დიდი ემიგრანტი წინაპრების ცხოვრებას, რათა მათგან მივიღოთ სულიერება და ენერჯია.

ემიგრანტობა არ გაძლევს იმის უფლებას, რომ სამშობლოს შემოსწყრე და მასზე აღარ იზრუნო. ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს ზურა პოპიაშვილი, კობა ბერიძე, გონა ბაბუნაშვილი და გონა გვიმრაძე. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები ერთ მთლიანობაში ქართველი კაცის ღირსეულ სახეს წარმოადგენენ და გამოუმდებით ცდილობენ, როგორ ამომიღვნენ მხარში საპასუხისმგებლო პროექტების განხორციელებლად. მათთვის ყველაფერი ქართული სათუთია. ისინი ხომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ერთიანი საქართველოსთვის იბრძოდნენ.

### — გიკავშირდებიან თუ არა ქართველი ემიგრანტები სხვა ქვეყნიდან?

— რა თქმა უნდა, გამოხმაურება და მხარდაჭერა იმთავითვე მივიღებ სხვადასხვა ქვეყნიდან. ესპანეთიდან ჩამოსვლას აპირებს ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე მანანა გოგოლაძე. თურქეთიდან მუჰაჯირების სახელოვანმა შთამომავალმა ორჰან ბერიძემ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მილოცვა და წარმატებები გვისურვა. ორჰანი სკაიპითაც გვერთვება ხოლმე შეკრებებზე და „გვფხისტყაოსანის“ საზეპიროებს გვიკითხავს. თურქეთში ჩვენმა ვიცე-კონსულმა, ბატონმა თემურ ტარტარაშვილმა, დაფუძნება მოგილოცა და შემოგვითვალა თანადგომა. ესპანეთიდან და ბელგიიდან გამოგვხმაურნენ სათვისტომოები და თანამშრომლობა, ერთობლივი ღონისძიებების მოწყობა შემოგვთავაზეს. საბერძნეთიდან დაგვიკავშირდა ქართველი ემიგრანტი, ლია ნიქარაშვილი, რომელმაც მოგვილოცა ცენტრის დაარსება. ასე რომ, ხელი უნდა ჩავჭიდოთ და არ დავკარგოთ ერთმანეთი, საქართველოს სიძლიერისა და სიყვარულისთვის. ისრაელში მყოფ ქართველ ემიგრანტებს ათამგი პასუხისმგებლობა უნდა გვქონდეს. აქ რუსთაველი განისვენებს, აქ ქართველებმა ჯერის დიდებული მონასტერი ააშენეს. ჩვენ წმინდა მიწაზე ვიმყოფებით, აქ დავთისმშობელი დადიოდა, აქ იშვა იესო.

### — ქალბატონო მარინა, საქართველოს უამრავი ემიგრანტი ჰყავს, რას ეტყობით მათ?

— ემიგრანტობა მეტად საპასუხისმგებლო მისიაა. თქვენი შრომით საკუთარ ოჯახებს რომ აღონიერებთ, ქვეყანასაც სულს უნარჩუნებთ. ემიგრანტი თავისი ქვეყნის სახეა. იყავით თავანუღნი თქვენი ზნეობითა და კულტურით. ღირსეულად ატარეთ ქართველი ერის სახე. ნუ დაგაღონებთ ემიგრანტობა! გახსოვდეთ, თქვენი წინაპრები, რომლებმაც საუკუნეები და ეპოქები მხრებზე შეიდგეს, ემიგრანტები

იყვენ. სწორედ თქვენ მოსაფერებლად დაგაფუძნეთ ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში, რომ შეეინარჩუნოთ ჩვენი სახე ამ ქვეყანაში. არ დაგავინწყდეთ ეს არის სამშობლო იმ ხალხისა, რომელიც სამი ათასი წელი ჩვენთან ერთად იზიარებდა საქართველოს ჭირსა და ვარაზს, ჩვენს ენაზე მეტყველებდა და დღეს ჩვენზე ნაკლებად არ სტიკვით საქართველო. ასე რომ, ქართული ხელოვნების ცენტრმა დიდი მისია იკისრა. ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს, სხვებსაც დავანახოთ, რა ერის შვილები ვართ. ზნეობისა და სიკეთის კვალი აქაც დავამჩნიოთ, შინაც ამყავები და თავანუღნი დავებრუნდეთ.

### — ქალბატონო მარინა, ემიგრანტობა არც თუ ისე ადვილია, რა გაძლიერებთ?

— ყველაზე მეტად ის მაძლიერებს, რომ საქართველოდან თანადგომისთვის მზად არიან ჩვენი სახელოვანი ადამიანები: ბატონი როსტომ ჩხეიძე და ბატონი გურამ ბათიაშვილი. ამას წინათ ვესაუბრე ქალბატონ რუსუდან კობახიძეს. მზადაა ვირტუალურად, მაგრამ ნაყოფიერად ჩაერთოს ჩვენს საქმიანობაში.

### — თქვენ ჯერ კიდევ 2007 წელს იმყოფობდით ისრაელში...

— ისრაელის მამინდელმა ელჩმა შაბთაი ცურმა საჩუქარი გამოიკეთა და საელჩოს ეგიდით დამიფინანსეს ისრაელში მამავეის საერთაშორისო ტრენინგ ცენტრში სწავლება, სადაც მომენიჭა ლიდერი ქალის სტატუსი და მივიღე სერთიფიკატი.

### — თქვენ აქტიურად იყავით ჩართული თურქეთის ქართული კულტურის ცენტრებში. რა გამოცდილება მიიღეთ იქ?

— დამანახვა, რომ ისრაელშიც აუცილებელია მსგავსი ორგანიზაციის არსებობა, რომელიც სიყვარულითა და პატივსცემი გააერთიანებდა ქართველ ემიგრანტებსა და ქართველ ებრაელობას. მათ ერთმანეთთან ბევრი საინტერესო და საჭირო სათქმელი აქვთ. ოცდამეერთე საუკუნე მეტად უსულგულარე და აგრესიული გამოდგა. ამიტომ გადარჩენილი სიტობი და სიყვარული წინა საუკუნეებიდან გამოყოლილი ნაღვერდალით უნდა გავაღვივოთ. დიდი მწერალი ჯემალ აჯაიმილი წერდა ქართული ებრაულ ურთიერთობებზე, რომ 21-ე საუკუნის დაღლილ კაცობრიობას სასიცოცხლო დერიტად წაადგებაო. ჰოდა რომ წაადგეს და წავიკრიშავს, სხვა არა ვინ გადავარჩენს, ჩვენც უნდა ვუპატირონოთ. მე გურამ ბათიაშვილის შემოქმედებაზე გავიზარდე და ამ სიყვარულს მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრებს კი არა სრულიად ბორჯომის მოსახლეობას ვუზიარებდი წლების მანძილზე უამრავი ღონისძიებების მეშვეობით.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ხელოვნების ცენტრის არსებობით დაინტერესებულია ისრაელში საქართველოს საელჩო და შეხვედრა შემოგვთავაზეს. რა თქმა უნდა, სათანამშრომლოდ მზად ვართ. ხშირად გვეკითხებიან, თუ ვინ გავაფინანსებს. გვეცინება, ჩემი პასუხი კი არ იცვლება: სამშობლოს სიყვარულს არავინ დაგიფინანსებს. არც ჩემნაირი ენთუზიასტები დაძვრებულა ქართველობაში. ჩვენ მზად ვართ ხელჩაკიდებულგან, საკუთარი თავისა და ენერჯის იმედად, ბურჯად შევუდგეთ ქართულ საქმეს. ქართველობა პასუხისმგებლობაა უფლის წინაშე.

### — გისურვებთ წარმატებებს.

მაია გალიაშვილი



ცენტრის დამფუძნებლები ისრაელში საქართველოს ელჩთან ბ.ნ. პავატა კალანდაძესთან

დაკავშირდები და გავსაუბრებოდი.

### — ქალბატონო მარინა, როგორ დაიბადა ამ ცენტრის გახსნის იდეა?

— ქართული ხელოვნების ცენტრის გახსნის იდეა აქ ჩამოსვლამდე დავისახე მიზნად, რადგან უმნიშვნელოვანეს საქმედ მიმაჩნდა ემიგრანტების საერთო სულისკვეთებით გაერთიანება და ქართველ ებრაელობასთან ურთიერთობა.

### — ცენტრის დირექტორად ზურა ბერიაშვილი აირჩიეთ. იქნებ, გვესაუბროთ მის შესახებ.

— როგორც კი ისრაელში ჩამოვედი, დავინწყე თანამოაზრეების ძებნა. ზურა ბერიაშვილი და მისი მეუღლე ირინა დევდარიანი ჩემთვის უფლის საჩუქარნი აღმოჩნდნენ. ეს ოჯახი ოცი წელია აქ ცხოვრობს, მოქალაქეები არიან. ქართული სიმღერის მოტრფიალებს თან წამოუღიათ ომარ კელაპტირიშვილის ნაჩუქარი ფანდური და სალამური. დღემდე დაუღალავად იხარჯებიან ქართველი თუ სხვა ეროვნების ბავშვებისთვის. აქვე საბავშვო სტუდია. ასწავლიან სიმღერებსა და სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას. სახლში ერთი ოთახი ტექნიკურ საშუალებებს და ხმის ჩამწერ სტუდიას აქვს დათმობილი. მინდა გითხრა, რომ ზურა საუკეთესოდ

ყვარული და ერთგული მასპინძლობა გველოდება.

ზურა პოპიაშვილი ემიგრანტია. აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ბრძოლებში გამოვლილი კაცი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მალაჩნიოსანი თავისი მეგობრებით შემოგვიერთდა და აქტიურად ჩაერთვნენ ღონისძიებების დაგეგმვა - ორგანიზებაში.

### — როგორ აღნიშნეთ ქართული ხელოვნების ცენტრის დაფუძნების დღე?

— დაფუძნების დღე საზეიმო ვითარებაში აღვნიშნეთ. ქართველი ემიგრანტებისთვის უბედნიერესი დღე იყო. მათ აღმოაჩინეს თავიანთი სულის მოსაოხებელი ადგილი, სადაც მოუსმენენ, თანაუგრძნობენ და მოეფერებიან. მიეხმარებიან ნიჭისა და უნარის გამოვლინებაში. ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი გამოგვეხმაურა, ვინ მღერის, ვინ ცეკვავს, წერენ ლექსებს. ყველას გაუჩნდა სურვილი აქტიურად ჩაერთონ ცენტრის მუშაობაში. ყველაზე სასიამოვნო ის გახლდათ, რომ დაფუძნების დღეს გვესტუმრნენ და მოგვილოცეს ქართველმა ებრაელებმა: პოეტმა ნანა დავარაშვილმა, ექიმმა გია მოშიაშვილმა, მუსიკოსმა მერი ელიაშვილმა.

დაგვუხმებენ და

რამისტირებენ

რამდამტორი

გამომცემელი:

ქ. თბილისის მთაწმიდის

ბურაბ ბათიაშვილი

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

რაიონის სასამართლოს

ISSN 1987-8982 UAC 070

თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>,

მიმრ.

411.16



ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რამისტირავის № 4/1-921

8-557

9771987898003